პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის —— მაისი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქალაქ ბათუმში, პ. მელიქიშვილის ქ. N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ნადეჟდა საბაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მემორიალური დაფის განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ოჯახი.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში პ. მელიქიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე სახლზე

ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

ენათმეცნიერი, განმარტებითი ლექსიკონის თანაავტორი, დოცენტი ქალბატონი ნადეჟდა (ნადია) საბაშვილმა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დასრულებისთანავე მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა კადემიის ისტორიის ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე (193901945წწ), რის შემდეგადაც მუშაობა განაგრძო საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

1954 წელს მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1963 წელს დოცენტის წოდება.

1954 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ბათუმის შ, რუსთაველის სახელობის პედ. ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე.

1962–67 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ მუშაობდა და პარალელურად კვლევით საქმიანობას ეწეოდა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, ხოლო 1945 წლიდან–სმა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მონაწილეობდა „ქართლის ცხოვრებისა“ და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ფუნდამენტური გამოცემების მომზადებაში. ნ. საბაშვილის სამეცნიერო ინტერესებში შედიოდა ქართული ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, ტექსტოლოგიისა და მწერლის ენის პრობლემები, რომლებსაც მიუძღვნა 40–მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, პ. მელიქიშვილის ქ. N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ოჯახი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი არ გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან ცხოიძე**

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტო

G E O R G I A
ENTITY OF PUBLIC LAW
Cultural Heritage
Protection Agency
Of Ajara

MES 6 23 0000677637

12/06/2023

მოქ: ზურაბ გელაძეს

(**მის:** ქ.ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N46, ბინა N5)

ბატონო ზურაბ,

თქვენი 2023 წლის 9 ივნისის განცხადების (N 670369) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.ბათუმი, მელიქიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობა არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს, შესაბამისად მასზე არ ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ახვლედიანი ზაურ

6010 ქ. ბათუმი ალ. გუდიაშვილის ქ. N4
N4 L. Gudiashvili street, Batumi 6010
Tel./Fax: +995 422 225 602

ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე # 2 - ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ მელიქიშვილის -2"–ის წევრთა საერთო კრება,

ოქმი #1

ქ. ბათუმი 14 ივნისი 2023 წელი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ მელიქიშვილის- 2", მდებარე ქალაქ ბათუმში პეტრე მელიქიშვილის ქუჩის # 2 - ში, ამჟამად ირიცხება 12 წევრი. კრების დღის წესრიგის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა, ერთი მობინადრე აღნიშნულ მისამართზე ამჟამად არ ცხოვრობს. დროებით გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი.

დღის წესრიგი: ქველმოქმედი მოქალაქე ზურაბ გელაძის პ# 61001008149, განცხადების განხილვა ამხანაგობის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის ფასადზე ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე;

მოისმინეს: კრებისა და ამხანაგობის თავმჯდომარის, მერაბ ნიჟარაძის პ/# 61001065081 ინფორმაციით შემოსულია, ქველმოქმედი მოქალაქის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის 1974 წლის კურსდამთავრებულის ზურაბ გელაძის განცხადება, ნებართვის თხოვნით, ქ. ბათუმის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, საცხოვრებელი სახლის ფასადზე ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე. ქალბატონი ნადეჟდა საბაშვილი ცნობილი ენათმეცნიერი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანაავტორი, დოცენტი, თაობების განათლების ღვაწლმოსილი ლექტორი, 1966-1998 წლებში ცხოვრობდა აღნიშნული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე;

კრების მონაწილეთა 100 %–მა, ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1.დადასტურდეს ყოფილი მობინადრე ნადეჟდა საბაშვილის ქ. ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის #2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე თანაცხოვრების ფაქტი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის ამოქმედებამდე;

2. ნება დაერთოს ქ. ბათუმის მერიის შესაბამის სამსახურს პეტრე მელიქიშვილის ქუჩის # 2 -ში მდებარე საცოვრებელ სახლის ფასადზე ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე, შემდეგი ტექსტით: „ამ სახლში 1966-1998 წლებში ცხოვრობდა ენათმეცნიერი განმარტებითი ლექსიკონის თანაავტორი, დოცენტი ნადეჟდა საბაშვილი.

ამხანაგობის თავმჯდომარე _____ მერაბ ნიჟარაძე.

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ არჩილ ჩიქოვანს.

ბატონო არჩილ , ჩვენ, ამ წერილზე ხელის მომწერნი, ვაფასებთ თქვენს ორგანიზატორულ ნიჭს და თვალსაჩინო საქმიანობას ბათუმის მუნიციპალიტეტის ყოველდღიურობაში. ამასთან, გთხოვთ მერიის ოფიციალურ გადაწყვეტილებას ღვაწლმოსილი ლექტორის, დამსახურებული მეცნიერის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანაავტორის, ქალბატონი ნადია საბაშვილის ყოფილ საცხოვრებელ სახლზე მელიქიშვილის ქუჩის # 2 -ში, მისი საინფორმაციო მემორიალური დაფის დამონტაჟების შესახებ.

მემორიალური დაფის ფოტო და ბიოგრაფიული მასალები წერილს თან ერთვის.
პატივისცემითა და მადლიერებით

№	სახელი	გვარი	ხელწერა
1	[illegible]	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	[illegible]	[illegible]
5	[illegible]	[illegible]	[illegible]
6	[illegible]	[illegible]	[illegible]
7	[illegible]	[illegible]	[illegible]
8	[illegible]	[illegible]	[illegible]
9	[illegible]	[illegible]	[illegible]
10	[illegible]	[illegible]	[illegible]
11	[illegible]	[illegible]	[illegible]
12	[illegible]	[illegible]	[illegible]
13	[illegible]	[illegible]	[illegible]
14	[illegible]	[illegible]	[illegible]
15	[illegible]	[illegible]	[illegible]
16	[illegible]	[illegible]	[illegible]
17	[illegible]	[illegible]	[illegible]
18	[illegible]	[illegible]	[illegible]
19	[illegible]	[illegible]	[illegible]
20	[illegible]	[illegible]	[illegible]
21. [illegible]		[illegible]	[illegible]
22. [illegible]		[illegible]	[illegible]
23. [illegible]		[illegible]	[illegible]
24 [illegible]			[illegible]
25. [illegible]		[illegible]	

ავტობიოგრაფია

ნიკოლოზ ოთაბაშვილის ასაკი სამუშაოს

დავიბადე 1914 წლის 24 თებერვალს ქუთაისის სოფელ სოფ. ზემოფოთში ქალაქ ფოთის ოჯახში. ავიყვანე საშუალო შკოლა ფოთში დავამთავრე 1929 წ. ზემო ქ. ქუთაისის პროფესიონალურ ტექნიკუმში, საიდან დავამთავრე 1932 წ.

1932 წლიდან 1933 წლამდე ვმუშაობდი ქუთაისიდან სოფ. ზემოქვედის სკოლაში. 1933 წლის შემოდგომაზე ჩავირიცხე უნივერსიტეტში ვეტერინარიის ფაკულტეტზე ოფლიერ-ინჟინერის 15 წლის განმავლობაში, საიდან დავამთავრე 1938 წელს.

1939 წლიდან 1945 წლამდე ვმუშაობდი სოფლის 315-ის ფაბ. აკადემიის ოსტატის ინსტიტუტში ვეტერინარიის ფაკულტეტზე ასისტენტად. 1945 წლიდან ვიყავი ხარ. ფაბ. აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ლაბორატორიის ფაკულტეტში იმავე ასისტენტობაზე.

1954 წლის ივნისში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია და ვიყავი ვეტერინარიის ფაკულტეტის ხელმძღვანელი, ეხლაც 1963 წლის დასაწყისამდე.

1954 წლის სექტემბერიდან დავიწყე ვმუშაობა ქ. ყაზბეგის სახელობის ფიზიკურ ინსტიტუტში ასისტენტად და ლაბორატორიის კაბინეტის.

1954 წლიდან 1961 წლამდე ვმუშაობდი იმავე კაბინეტის მეთაურად.

1965 წ. ბიოლოგიური ძალის ეფექტის ხარ. ფაბ. აკადემიის

ბიბლიოგრაფიისთვის 8 ფურცელი ქაღ. ფოთ. ავტოგრაფი ოფსეტური
ბეჭდვა და ავტორის ხელმოწერა ფანდურიანი ფაქსიმილეთ ფაკსიმილეში,
ფანდურიანი ინსტრუქციის ოფსეტურად გადაღებული ავტოგრაფი
ფანდურიანი-ზეთია ჯეჯელავი ქაღალ. ამასთან ფაკსიმილეში მოყვანილი
ბოქლომი ვეფხვიანი ტიპისა. (იხ. სტ. ლაი ფრ. ავტ. ბიბლიოგრაფია
ფურცელი №58. 1965 წ. აგვისტო № 22).

ფაქტობრივად ეს ბეჭედია: „ვეფხვიანი ფანდურიანი
და ოქვენ „ქართული ბიბლიოთეკა“, ტიპოგრ. – 1951 წ. 15 ნ
ნოემბერ ეროვნული ბიბლიოთეკის 100 წლისთავთან ფაკსიმილეში – 1
ეს ბეჭედი ვეფხვიანი.

ნ. ლასარეიშვილი

10.1.87 წ.

ამ სახლში, 1966 – 1998 წლებში ცხოვრობდა ენათმეცნიერი, ღვაწლმოსილი ლექტორი, დოცენტი ნადეჟდა-ნადია- საბაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230786789
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.06.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია ჯინჭველეიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. ბათუმი, მაზნიაშვილის ქ. #47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(0422) 270726
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	13678593545623

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქ. ბათუმი

ორი ათას ოცდასამი წლის თხუთმეტ ივნისს მე, ნოტარიუს მაია ჯინჭველეიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, მაზნიაშვილის ქ. №47, მომმართა ბატონმა მერაბ ნიჟარაძემ, რომელმაც წარმოადგინა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „მელიქიშვილის-2“ 2023 წლის 14 ივნისის საერთო კრების ოქმი №1 და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მერაბ ნიჟარაძემ, დაბადებული 03.09.1952წ., მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, N 2, ბინა 9, პირადი №61001065081, მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ მის მიერ წარმოდგენილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმზე ვამოწმებ მხოლოდ მისი ხელმოწერის სინამდვილეს, ოქმის შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებზე ნოტარიუსი პასუხს არ აგებს.

კრების ოქმი წარმოდგენილია ერთ ეგზემპლარად, ერთ გვერდზე ერთი ხელმოწერით.

გადახდილია სანოტარო საზღაური ექვსი (6) ლარი და ხუთი (5) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი _____ მაია ჯინჭველეიშვილი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია

წერილის ნომერი: **01-1423131698**
თარიღი: **11/05/2023**

ადრესატი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ასლი:

ადრესატი: ზურაბ გელაძე
პირადი ნომერი: 61001008149
მისამართი: ვაჟა-ფშაველას ქ.46

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსს
ბატონ რაულ ბოლქვაძეს

ასლი: შუშანა ფუტკარაძეს, ზურაბ გელაძეს და სხვებს

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გეგზავნებათ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 11 მაისს შემოსული ერთობლივი განცხადება (N19/1423131448-14) - ნადია საბაშვილის მემორიალური დაფის, მის ყოფილ საცხოვრებელ სახლზე (ქ.ბათუმი, მელიქიშვილის ქ.N2) განთავსების თაობაზე.

დანართი „4“ ფურცელი პირველ ადრესატს.

პატივისცემით,

ნუკრი დეკანაძე

ადმინისტრაცია-ადმინისტრაციის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის
საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. ბათუმი 2023 წლის 13 ნოემბერი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა შემდეგი საკითხები:

1. ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მუსტაფა ჩახვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე;

2. ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე;

3. ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქ. N53ა-ში მდებარე სკვერში არჩილ აბაშიძის მემორიალური დაფის სადგამით განთავსების შესახებ;

4. ქალაქ ბათუმში კუპატას ქანდაკების განთავსების თაობაზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დღის წესრიგით გათვალისწინებული N1 (ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მუსტაფა ჩახვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე), N2 (ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ნადეჟდა საბაშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე) და N3 (ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქ. N53ა-ში მდებარე სკვერში არჩილ აბაშიძის მემორიალური დაფის სადგამით განთავსების შესახებ) საკითხების განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4-ე (ქალაქ ბათუმში კუპატას ქანდაკების განთავსების თაობაზე) საკითხი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დასამტკიცებლად გადაეცემა მას შემდეგ, რაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან ბიუსტის განთავსებასთან დაკავშირებით მიიღებს დადებით პასუხს (კულტურის შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 თებერვლის ბრძანების №05/13 თანახმად).

კომისიის თავმჯდომარე: ლევან ცხოიძე